დადგენილება:**დ-37.37213371**
თარიღი:**04/12/2021**

დადგენილება N16

2021 წლის 03 დეკემბერი

,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის, ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ **-** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N6 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 22/01/2018, 190040000.35.113.016326) და დადგენილების თანდართული დანართი N1 ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმით:

,,დანართი№1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა

თანამდებობრივი სარგოების ოდენობები

თანამდებობის დასახელება	**თანამდებობრივი რანგი**	**თანამდებობრივი სარგო**
საკრებულოს თავმჯდომარე	პოლიტიკური თანამდებობა	3 000
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	პოლიტიკური თანამდებობა	2 600
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	პოლიტიკური თანამდებობა	2 400
კომისიის თავმჯდომარე	პოლიტიკური თანამდებობა	2 000
ფრაქციის თავმჯდომარე	პოლიტიკური თანამდებობა	2 000
ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	პოლიტიკური თანამდებობა	1 500

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2021 წლის 3 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი